სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №2016-81
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 14 ნოემბერი 2016 წ.

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ , შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი **თავმჯდომარის მ/შ ნიკა ახალბედაშვილის** სახით და **შპს „იბერიასერვისი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”, წარმოდგენილი **დირექტორის დავით ჯოხაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

1.7. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდეს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნესათვის მისი კუთვნილი ავტომობილისი (Skoda Octavia) სახელმწიფო ნომრით (FF-172-TT) სერვისული მომსახურების შესყიდვა (ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა, ანტიფრიზის შეცვლა, ახლო მაშუქის ნათურის მ/დ, გაბარიტის ნათურის მ/დ. ნათურა H7 1 ცალი, გაბარიტის ნათურა 1 ცალი, 3 ერთეული 1.5ლ ანტიფრიზი, ძრავის ზეთი სინთეტიკა 6.5 ლიტრი, 1 ცალი ზეთის ფლიტრი.)

(CPV- 50112200)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 306.00 (სამას ექვსი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. 1 ცალი ნათურა H7 - 25.00 ლარი.

3.3. 1 ცალი გაბარიტის ნათურა 5.00 ლარი.

3.4. 1 ერთეული ანტიფრიზი 1.5ლ - 23.00 ლარი.

3.5. 1 ცალი ზეთის ფლიტრი - 35.00 ლარი.

3.6. 1 ლიტრი ძრავის ზეთი - 20.00 ლარი

3.7. ძრავის და ზეთის ფილტრის შეცვლა - 6.00 ლარი.

3.8. ანტიფრიზის შეცვლა - 24.00 ლარი.

3.9. ახლო მაშუქის ნათურის მ/დ - 6.00 ლარი.

3.10. გაბარიტის ნათურის მ/დ - 6.00 ლარი.

4. მომსახურების შესაბამისობა

4.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვა უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი შესყიდვებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მძღოლი გიორგი ელიაშვილი.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში გამოასწოროს წუნი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: 2016 წლების საკუთარი სახსრები.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის, ინსპექტირების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას

შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“,
წარმოდგენილი თავმჯდომარის მ/შ
ნიკა ახალბედაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის 3,
ტელეფონი: 2 94 16 45,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №707407076,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 203862622

მიმწოდებელი:

შპს „იბერიასერვისი,
წარმოდგენილი დირექტორის დავით ჯოხაძის
სახით
მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი
მე-12 კმ.
ტელეფონი: 2 51-75-17
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE79BG0000000875689101,
სს „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGAGE 22,
სკ - 204982359